

დასკვნა სასამართლო სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს ცვლილების კანონპროექტის შესახებ

საქართველო

წინამდებარე დასკვნის შემუშავებაში წვლილი შეიტანეს ქ-ნმა სლავიკა ბანიჩმა, ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ბ-ნმა გჟეგოჟ ბორკოვსკიმ, მოსამართლე, საერთაშორისო იურიდიული ექსპერტის და პოლონეთის სასამართლო სისტემის ეროვნული საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი, ასევე ბ-ნმა ანდრას შაიომ, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი ბუდაპეშტში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ვიცე-პრეზიდენტი.

დასკვნა მომზადებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მიღებული ცვლილების კანონპროექტის ოფიციალურ თარგმანზე დაყრდნობით.



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებების ოფისი

მიოდოვას ქუჩა 10, PL-00-251 ვარშავა

*დასკვნა სასამართლო სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს
ცვლილების კანონპროექტის შ ე ს ა ხ ე ბ*

ოფისი: +48 22 520 06 00, ფაქსი: +48 22 520 0605

www.legislationline.org

მოკლე შეჯამება

სასამართლო დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპი და არსებითი ელემენტი. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას ასევე გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების განაწილების პრინციპის პატივისცემისა და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩო და ეფექტური აღსრულების მექანიზმი აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მართლმსაჯულების სისტემაში სანდოობის გასაძლიერებლად და, საბოლოო ჯამში, სასამართლო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდისთვის.

ODIHR-მა 2019 წელს შეაფასა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების კანონპროექტი. 2019 წლის შემდგომ მიღებულ ცვლილებებში გარკვეულწილად ასახულია ODIHR-ის რეკომენდაციები, მათ შორის ისეთი დებულებების შემოღება, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან, რადგან მისი წევრები ასევე არიან მოსამართლეობის კანდიდატები, ასევე არამოსამართლე კანდიდატებისთვის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოთხოვნის გაუქმება და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურის შემოღება. თუმცა, გარკვეული ხარვეზები კვლავ გამოუსწორებელია, რაც დასტურდება ODIHR-ის მიერ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგის შედეგად.

შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად ისახავს სასამართლო სისტემაში გამჭვირვალობის გაზრდას, მათ შორის სასამართლო აქტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის, უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევის პროცესის ზოგიერთი ასპექტის რეფორმით, ასევე ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ან ვაკანტური პოზიციების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებით.

ამავდროულად, წინამდებარე დასკვნით გამოაშკარავებულია გარკვეული ხარვეზები და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებთან, პრინციპებთან და სტანდარტებთან სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მოიცავს უფლებამოსილების და შერჩევის კრიტერიუმებს, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის თავისებურებებს. ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ საქართველო აგრძელებს სასამართლო რეფორმას სასამართლოს დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, მათ შორის,

ითვალისწინებს ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ ამოცანებს, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის განაცხადის ნაწილს. თუმცა, ასეთი ცვლილებები უნდა იყოს სასამართლო რეფორმის თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი.

უფრო კონკრეტულად, ODIHR იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს, რათა გაუმჯობესდეს ცვლილების კანონპროექტის შესაბამისობა ეუთოს ვალდებულებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან:

- A. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილების სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებასა და ცვლილების კანონპროექტის 133 მუხლს შორის, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სრული ან ნაწილობრივი დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება, არსებული წინააღმდეგობების გადაჭრა და გამოქვეყნების პირობების დაკონკრეტება, მათ შორის სრულად დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო აქტების გამოქვეყნება, როგორც ზოგადი წესი, ხოლო ლეგიტიმური ინტერესის შემთხვევაში - პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შესაძლებლობა; [პუნქტი 20]
- B. გამარტივდეს დეპერსონალიზებულ (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტებზე ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე მხარეთა თანხმობის გადამოწმების პროცედურა პერსონალური მონაცემების დაცვისა და სასამართლო სისტემის შესაძლებლობაზე მართლმსაჯულების გამჭვირვალედ აღსრულების საფრთხის შექმნის გარეშე; [პუნქტი 27]
- C. უზრუნველყოფილ იქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიერ საკუთარი წევრებიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აირჩიონ/შეარჩიონ, ან როგორც ალტერნატივა, უკეთ განისაზღვროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურა და ობიექტური და დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნები და დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა; [პარაგრაფი 30]
- D. განხილულ იქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო პროფესიული გამოცდილების წლების რაოდენობის გაზრდა; [პარაგრაფი 32]
- E. გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევის პროცესში ხმის მიცემის პროცედურა და სანაცვლოდ გათვალისწინებულ იქნეს უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური შეფასებებისა და დასაბუთებების შეჯამება; [პარაგრაფი 40]
- F. შეივსოს ცვლილების კანონპროექტი, რომ მასში გათვალისწინებულ იქნეს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების გარანტიები ODIHR-ის წინა რეკომენდაციების შესაბამისად; [პარაგრაფი 52]

*დასკვნა სასამართლო სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს
ცვლილების კანონპროექტის შ ე ს ა ხ ე ბ*

- G. ცვლილების კანონპროექტმა უზრუნველყოს გენდერული და განსხვავებული შეხედულებების გათვალისწინება სასამართლოში დანიშვნის პროცესში; [პარაგრაფი 55] და
- H. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შესახებ დებულებებში ასევე დისკრიმინაციის, ობიექტურობისა და თანასწორობის დამატებით პრინციპებზე მითითება; [58-ე პარაგრაფი].

ზემოაღნიშნული და დამატებითი რეკომენდაციები მოცემულია წინამდებარე დასკვნის ტექსტში და ხაზგასმულია მუქ ფერად.

მისი მანდატის ფარგლებში, დაეხმაროს ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებების შესრულებაში, ODIHR, მოთხოვნის შემთხვევაში, ახორციელებს კანონპროექტებისა და არსებული კანონმდებლობის მიმოხილვას, რათა შეაფასოს მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ეუთოს ვალდებულებებთან და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისთვის.

სარჩევი

I. შესავალი	7
II. დასკვნის ფარგლები	8
III. სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები	9
1. ადამიანის უფლებათა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და ეუთოს ადამიანის განზომილების ვალდებულებები	9
2. წინარე ისტორია.....	Error! Bookmark not defined.
3. სასამართლო აქტების საჯარო გამჟღავნება	12
3.1. მონაცემთა დაცვა და საჯარო ინფორმაციაზე წვდომა	12
3.2. სასამართლო აქტების გამჟღავნების მეთოდები	15
3.3. სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება სასამართლო აქტების გავრცელების შესახებ	17
4. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ	18
4.1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა	18
4.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის	19
4.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატთა შერჩევის მეთოდები 20	
4.3.1 საჯაროობა	22
4.3.2 ხმის მიცემა	24
4.3.3 დარღვევები შერჩევის პროცესში	25
5. მოსამართლეთა შერჩევა და სტატუსი	26
5.1. რაიონული (საქლავო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის მეთოდები	26
5.2. ვადა ...	28
5.3. ინფორმაციის მოძიება	30
5.4. გენდერული საკითხების გათვალისწინება შერჩევის პროცესში	30
6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება	32
7. სხვა კომენტარები	32
8. ცვლილების კანონპროექტის შემუშავების წესი	33

I. შესავალი

1. 2022 წლის 25 ნოემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თხოვნა სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონპროექტის, მათ შორის საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილების კანონპროექტის განხილვის შესახებ (შემდგომში „ცვლილების კანონპროექტი“).¹
2. 2023 წლის დეკემბერში ODIHR-მა უპასუხა აღნიშნულ თხოვნას და დაადასტურა ოფისის მზადყოფნა მოამზადოს სამართლებრივი დასკვნა შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მათი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებთან შესაბამისობის შესაფასებლად.
3. ODIHR-მა უკვე განიხილა 2019 წელს საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებული ცვლილებების წინა პროექტი², ასევე აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურას 2019-2021 წლებში.³ წინამდებარე დასკვნა განხილულ უნდა იქნეს ODIHR-ის წინა 2019 წლის მოსაზრებასთან და ODIHR-ის მონიტორინგის ანგარიშებთან ერთად, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას, რამდენადაც მასში მოცემული ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული.
4. წინამდებარე დასკვნა მომზადდა ზემოაღნიშნული თხოვნის საპასუხოდ. ODIHR-მა ჩაატარა წინამდებარე შეფასება მისი ზოგადი მანდატის ფარგლებში, რათა დაეხმაროს ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებების შესრულებაში.⁴

¹ საკანონმდებლო პაკეტი ასევე მოიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების პროექტს.

² იხილეთ ODIHR, [დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებული ცვლილების პროექტის შესახებ](#), 2019 წლის 17 აპრილი.

³ 2019-2021 წლებში ODIHR ახორციელებდა საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მონიტორინგის ოთხი შესაბამისი ანგარიში მომზადებულია. იხილეთ ODIHR, [ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის შესახებ](#), 2019 წლის ივნისი-სექტემბერი (2019 წლის 10 სექტემბერი); [მეორე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), 2019 წლის ივნისი-დეკემბერი (2020 წლის 9 იანვარი); [მესამე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), 2020 წლის დეკემბერი – 2021 წლის ივნისი (2021 წლის 9 ივლისი); და [მეოთხე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#) (2021 წლის 23 აგვისტო).

⁴ იხილეთ განსაკუთრებით [ეუთოს გადაწყვეტილება №7/08 კანონის უზენაესობის შემდგომი გაძლიერება ეუთოს სივრცეში](#) (2008), პუნქტი 4, სადაც მინისტრთა საბჭო „მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, ეუთოს შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურების დახმარებით, თავიანთი მანდატებით და არსებული რესურსების ფარგლებში, გააგრძელონ და გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების

II. დასკვნის ფარგლები

5. წინამდებარე დასკვნა განიხილავს მხოლოდ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა სასამართლო რეფორმის მიმდინარე პროცესის ფარგლებში, კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილების კანონპროექტს. წინამდებარე დასკვნა ასევე განიხილავს, რამდენადაც ეს აქტუალურია, სხვა ცვლილების კანონპროექტს, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს. შესაბამისად, შეზღუდული ფარგლების გათვალისწინებით, წინამდებარე სამართლებრივი მიმოხილვა არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების თითოეული დებულების და არც მთელი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს საქართველოში სასამართლო სისტემას, სრულ და ყოვლისმომცველ მიმოხილვას.
6. შემდგომი სამართლებრივი ანალიზი ეფუძნება საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, ნორმებსა და რეკომენდაციებს, ასევე ეუთოს ადამიანური განზომილების შესაბამის ვალდებულებებს. საჭიროების შემთხვევაში, დასკვნა ასევე მიმოიხილავს ეუთოს სხვა მონაწილე სახელმწიფოების კარგ პრაქტიკას აღნიშნულ სფეროში.
7. უფრო მეტიც, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის⁵ (შემდგომში „CEDAW“) და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის ეუთოს 2004 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად⁶, ასევე გენდერული პერსპექტივის ეუთოს აქტივობებში, პროგრამებსა და პროექტებში ჩართვის ვალდებულების შესაბამისად, დასკვნა აანალიზებს შემოთავაზებული ცვლილებების პოტენციურად განსხვავებულ გავლენას ქალებსა და მამაკაცებზე და ასევე მოიცავს, საჭიროებისამებრ, განსხვავებული შეხედულებების პერსპექტივას.
8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ODIHR-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ წინამდებარე დასკვნა ხელს არ უშლის ODIHR-ს მომავალში ჩამოაყალიბოს დამატებითი წერილობითი ან ზეპირი რეკომენდაციები ან კომენტარები შესაბამის საკითხებზე.

და კანონის უზენაესობის გაძლიერებისთვის სასამართლოს დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელების, სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, სასამართლოზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ინსტიტუტების და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება, საჯარო ადმინისტრაციაში კანონის უზენაესობის პატივისცემა, იურიდიული დახმარების უფლება და პატიმრობაში მყოფი პირების უფლებების პატივისცემა [...]“.

⁵ გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 34/180 1979 წლის 18 დეკემბერს. საქართველომ მოახდინა CEDAW-ის რატიფიცირება 1994 წლის 26 ოქტომბერს.

⁶ იხილეთ ეუთოს სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, მიღებული გადაწყვეტილებით No14/04, MC.DEC/14/04 (2004), პუნქტი. 32.

III. სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები

1. ადამიანის უფლებათა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და ეუთოს ადამიანის განზომილების ვალდებულებები
9. საერთაშორისო სტანდარტებისა და ეუთოს ვალდებულებების დეტალური მიმოხილვისთვის, რომელიც დაკავშირებულია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან და მოსამართლეთა დანიშვნებთან, ODIHR მიუთითებს თავის 2019 წლის ODIHR-ის დასკვნაზე, განსაკუთრებით III.1 თავზე საერთაშორისო სტანდარტებისა და ეუთოს ვალდებულებების შესახებ. გარდა ამისა, წინამდებარე დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითებს ვენეციის კომისიის დასკვნაზე ორგანული კანონპროექტზე, რომელსაც ცვლილებები შეაქვს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში (2020).⁷
10. რაც შეეხება გადაწყვეტილების საჯაროობას, სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ხელმისაწვდომობა წარმოადგენს საჯარო განხილვის (გარჩევის) საერთო უფლების განუყოფელ ნაწილს, რომელიც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო (შემდგომში „ICCPR“) პაქტის 14(1) მუხლით⁸ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „ECHR“) 6 (1) მუხლით,⁹ როგორც ის ასევე ხაზგასმულია ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებში.¹⁰ აღნიშნული უფლება ეფუძნება მართლმსაჯულების ღია და გამჭვირვალე განხორციელების იდეას, რომელიც იცავს პირებს თვითნებობისგან. სასამართლო გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ფარულად განხორციელების თავიდან აცილებას, იცავს სასამართლო პროცესის ბოროტად გამოყენებისგან და ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ.¹¹ ამავდროულად, აღნიშნული მოთხოვნა არ არის აბსოლუტური და არსებობს გარკვეული გადაწყვეტილების საჯაროობის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზეზები (იხ. ქვემოთ).

⁷ იხილეთ ვენეციის კომისია, [დასკვნა ორგანულ კანონპროექტზე, რომელიც ცვლის საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონს](#), 2020 წლის 8 ოქტომბერი.

⁸ გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (შემდგომში „ICCPR“), მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით. საქართველო შეუერთდა ICCPR-ს 1994 წლის 3 მაისს.

⁹ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში „ECHR“), ხელმოწერილი 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. საქართველომ ECHR-ის რატიფიცირება მოახდინა 1999 წლის 20 მაისს.

¹⁰ ეუთო, [ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი](#), ვენა 1989, პუნქტი 13.9.

¹¹ იხილეთ მაგ., ODIHR, [საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლებების სამართლებრივი შეჯამება](#) (2012), თავი IV).

2. წინარე ისტორია

11. ფართო სასამართლო რეფორმის პროცესის ფარგლებში, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულმა კანონმა (შემდგომში „**კანონი საერთო სასამართლოების შესახებ**“, აღნიშნული კანონის მოქმედი ვერსია) 2019 წლიდან განიცადა არაერთი ცვლილება.¹² 2019 წლის დასკვნაში, ODIHR-მა შეაფასა 2019 წლის ცვლილებები ეუთოს ვალდებულებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, ასევე სასამართლოში დანიშვნის პროცესები საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად. ვენეციის კომისიამ ასევე მიიღო რამდენიმე მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2019-2023 წლებში შეტანილი ცვლილებების შესახებ.¹³
12. 2019 წლის დასკვნაში ODIHR-მა დაასკვნა, რომ ერთის მხრივ სასამართლოს წევრების შერჩევის კრიტერიუმების, პირობებისა და პროცედურების შესახებ დებულებების მიღება პოზიტიური მოვლენა იყო, მაგრამ ცვლილების კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფდა ადეკვატურ ღია, გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის სისტემის გარანტიას და არ იყო სრულად შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან.¹⁴ 2019 წლის 1 მაისს მიღებული საბოლოო ცვლილებები ეხებოდა ODIHR-ის რამდენიმე რეკომენდაციას, მათ შორის დებულებების შემოღებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში (HCJ), იმ შემთხვევებში, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თვითონვე არიან კანდიდატები და არამოსამართლე კანდიდატებისათვის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოთხოვნების გაუქმებაზე. თუმცა, რჩებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც დადასტურდა ODIHR-ის მიერ ჩატარებული შერჩევისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგის დროს.¹⁵ გარდა ამისა, მიღებულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო პარლამენტის წინაშე დანიშვნის პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილების გარანტიები, მაგალითად, პარლამენტის როლის მოქმედ პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობით მკაცრად შეზღუდვა და არა ყველა კანდიდატის კომპეტენციის და პატიოსნების შეფასების ხელახალი განხორციელება.

¹² გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ადრე გასცა რეკომენდაცია, რომ „მთავრობამ განაგრძოს სასამართლო სისტემის რეფორმა მისი დამოუკიდებლობის გასაზრდელად და დანერგოს რეგიონული ორგანიზაციების რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. იხილეთ [გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის ანგარიში](#), A/HRC/WG.6/37/GEO/2 (2021 წლის 18-9 იანვარი).

¹³ აღნიშნული მოიცავს [მოსაზრებას საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებს](#) (2022 წლის 20 ივნისი); [გადაუდებელი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ](#) (2021 წლის 2 ივლისი); [მოსაზრება ორგანული კანონპროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ](#) (2020 წლის 8 ოქტომბერი); და [გადაუდებელი დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ](#) (2019 წლის 16 აპრილი), ასევე [შემდგომი დასკვნა](#) აღნიშნულ ოთხ წინა დასკვნაზე საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონთან დაკავშირებით (2023 წლის 14 მარტი).

¹⁴ იხილეთ [ODIHR-ის მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ](#), (2019 წლის 17 აპრილი).

¹⁵ იხილეთ რეკომენდაციების სია გვერდებზე 21-23 ([2020 ODIHR-ის მეორე მონიტორინგის ანგარიში](#)).

13. აღნიშნული ხარვეზები ასახულია ვენეციის კომისიის დასკვნაში სასამართლო რეფორმის სხვა პრობლემურ ასპექტებთან ერთად. მაგალითად, 2022 წლის დასკვნაში, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „2021 წლის შესწორებების ნაჩქარევი მიღებისა და მათ მიერ მოსამართლეთა თანხმობის გარეშე მათი გადაყვანის საკითხებში [იუსტიციის უმაღლესი საბჭოს] უფლებამოსილების გაზრდის მთლიანი ეფექტი, ასევე დისციპლინური გადაცდომის ახალმა და ბუნდოვანმა საფუძვლებმა და დისციპლინური გამოძიების შემთხვევაში მოსამართლის ხელფასის გადახდის შეჩერებამ - საქართველოს კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება შემაშფოთებელი გავლენა მოახდინოს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებაზე და შიდა სასამართლო დამოუკიდებლობაზე“. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც შექმნილია საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და ევალება მოსამართლეთა დანიშვნა და გათავისუფლება, კვლავ განიცდიდა უნდობლობას სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე¹⁶ და საზოგადოების ნდობაზე სასამართლო ინსტიტუტების მიმართ.
14. წინამდებარე დასკვნაში განხილული მიმდინარე რეფორმის პაკეტი მოამზადა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ევროკომისიის მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის განაცხადის საპასუხოდ განსაზღვრული პრიორიტეტული ამოცანების შესასრულებლად. 2022 წლის 17 ივნისს, სხვა პრიორიტეტულ პირობებთან ერთად, ევროკავშირმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს „დაამტკიცოს და განახორციელოს გამჭვირვალე და ეფექტური სასამართლო რეფორმის სტრატეგია და 2021 წლის შემდგომი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია ფართო, ინკლუზიურ და მრავალპარტიულ საკონსულტაციო პროცესზე; უზრუნველყოს სასამართლო სისტემა, რომელიც იქნება სრულად და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი მთელი სასამართლო ინსტიტუციური ჯაჭვის ფარგლებში, ასევე უფლებამოსილებების განაწილების უზრუნველყოფის კუთხით; კერძოდ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და პროკურატურის ინსტიტუტის, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოს სათანადო ფუნქციონირება და მთლიანობა და აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები, მათ შორის ყველა დონეზე მოსამართლეთა და გენერალური პროკურორის ნომინაცია; განახორციელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დარჩენილი წევრები. ყველა აღნიშნული ღონისძიება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს“.¹⁷ საქართველომ აღნიშნული ამოცანები უნდა შეასრულოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

¹⁶ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული [გამოკითხვის](#) თანახმად, გამოკითხულთა 31 პროცენტმა განახადა, რომ სასამართლო სისტემა გაუარესდა ბოლო 10 წლის განმავლობაში, 32 პროცენტი ამბობს, რომ იგივე დარჩა და მხოლოდ 18 პროცენტმა აღნიშნა მისი გაუმჯობესება.

¹⁷ იხილეთ [მოსაზრება საქართველოს მიერ ევროკავშირში წევრობის განაცხადის შესახებ](#), 2022 წლის 17 ივნისი.

3. სასამართლო აქტების საჯარო გამჟღავნება

3.1. მონაცემთა დაცვა და საჯარო ინფორმაციაზე წვდომა

15. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს სასამართლო სხდომებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე გათვალისწინებულია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლით. სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა გათვალისწინებულია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლითაც. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებებში მოხსენებული პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საკითხი „კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს“.
16. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და გამოქვეყნების სტანდარტები გათვალისწინებულია ICCPR-ის 14(1) მუხლში და ECHR-ის 6(1) მუხლში, როგორც შემდგომ დამუშავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) პრეცედენტულ სამართალში. საქმეში *Fazliyski v. Bulgaria*, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ECHR-ის 6(1) მუხლის მოთხოვნა გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი მოთხოვნაა და რომ განმცხადებლის შესაძლებლობა - გააჩნდეს წვდომა გადაწყვეტილებებზე და გამოიყენოს გასაჩივრების უფლებები არ არის გადამწყვეტი, არამედ გადამწყვეტია იყო თუ არა ეს გადაწყვეტილებები, გარკვეული ფორმით ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.¹⁸ ევროპული სასამართლო ასევე ადასტურებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების არსებობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით თავის სხვადასხვა გადაწყვეტილებაში.¹⁹ აღნიშნულ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოსახერხებელი ონლაინ ინფორმაცია მართლმსაჯულების შესახებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია და რამდენადაც ეს თავსებადია სამართლიანი სასამართლოს პრინციპებთან.²⁰
17. ამავდროულად, გადაწყვეტილების საჯაროობა დაბალანსებული უნდა იყოს ICCPR-ის მე-17 მუხლით²¹ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

¹⁸ ევროპული სასამართლო, *Fazliyski v. Bulgaria*, Application no. 40908/05, 2013 წლის 16 აპრილი, პუნქტი 65.

¹⁹ აგრეთვე ევროპული სასამართლო, *ახალგაზრდული ინიციატივა ადამიანის უფლებებისთვის სერბეთის წინააღმდეგ*, განაცხადი No. 48135/06, 2013 წლის 15 ივნისი; *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary* [GC], განაცხადი No. 2016 წლის 8 ნოემბერი 18030/11; და *Sdružení Jihočeské Matky v. Řežbišskýs právnické služby* [dec.], განაცხადი No. 19101/03, 2006 წლის 10 ივლისი.

²⁰ იხილეთ ODIHR, *წამრთობი გენდერის, მრავალფეროვნებისა და სამართლიანობის შესახებ: მიმოხილვა და რეკომენდაციები* (2019), ძირითადი რეკომენდაცია 21.

²¹ ICCPR-ის მე-17 მუხლის თანახმად: „1. არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას. 2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, იყოს კანონით დაცული ასეთი ჩარევისაგან ან ხელყოფისაგან“. აგრეთვე *გაერო, გენერალური ასამბლეა, გადამუშავებული რეზოლუციის პროექტი ციფრულ ეპოქაში კონფიდენციალურობის უფლებაზე*, A/RES/75/176, ნიუ-იორკი, 2020 წლის 28 დეკემბერი და *გაეროს გენერალური*

*დასკვნა სასამართლო სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს
ცვლილების კანონპროექტის შეხახებ*

მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით,²² რომლებიც განსაზღვრავენ პირობებს, რომლითაც დაშვებულია ამ უფლების შეზღუდვა. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ (კონვენცია 108) ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებსა და წესებს, ისევე როგორც პირთა უფლებებს.²³ აღნიშნული კონვენციის თანახმად, პერსონალური მონაცემები უნდა იყოს შენახული ისეთი ფორმით, რომელიც საშუალებას მისცემს მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირებას მხოლოდ იმ მიზნისთვის, რისთვისაც ეს მონაცემები ინახება.²⁴ ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა No. 14 ადგენს, რომ „გარკვეული სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინ ხელმისაწვდომობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პირთა კონფიდენციალურობის უფლებებს და საფრთხეს შეუქმნას კომპანიების ინტერესებს. ამიტომ სასამართლოებმა და სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ზომების მიღება მონაცემთა დასაცავად შესაბამისი კანონების მოთხოვნების შესაბამისად“.²⁵

18. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა სასამართლო გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შესახებ საჯარო ინტერესის არსებობა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რამდენად მოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ხელმისაწვდომობა შესაბამის პირთა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობაზე და/ან უფლებაზე. შემოთავაზებული ცვლილების კანონპროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სასამართლო აქტებზე, ამავდროულად პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით. თუმცა, შემოთავაზებული მიდგომა აჩენს კითხვებს გამჭვირვალობის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ზოგადად, სასამართლო გადაწყვეტილებებზე წვდომის პროცესის სირთულესთან დაკავშირებით.
19. ცვლილების კანონპროექტის 1¹ თავში მოცემულია 13³, 13⁴ და 13⁵ მუხლები, რომლებიც მიზნად ისახავენ სასამართლო აქტების სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე)

ასამბლეა, რეზოლუცია კონფიდენციალურობის უფლების შესახებ ციფრული ეპოქა, A/RES/68/167, ნიუ-იორკი, 2013 წლის 18 დეკემბერი.

²² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს: „1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყისრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

²³ იხილეთ *კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ*, (კონვენცია 108) სტრასბურგი, 1981 წლის 28 იანვარი, რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2006 წლის 1 აპრილს.

²⁴ აგრეთვე ODIHR-ის მოსაზრება *საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ*, პუნქტი 77. გარდა ამისა, აქტუალურია 2016 წლის 27 აპრილის 2016/679 რეგულაცია ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ასეთი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით და 95/46/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) 2016 წ. სისხლის სამართლის დანაშაულების პრევენცია, გამოძიება, გამოვლენა ან დევნა ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულება და ასეთი მონაცემების თავისუფლად გადაადგილება და საბჭოს 2016 წლის 4 მაისის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების გაუქმება OJ L 119/89.

²⁵ *CCJE-ს დასკვნა No. 14 „მართლმსაჯულებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ“*, პუნქტი. 17.

ტექსტების გავრცელების რეგულირებას. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში ცვლილების კანონპროექტი წმინდა ტექნიკური ხასიათისაა და შესაბამისობაში მოჰყავს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების პროექტთან. ცვლილების კანონპროექტი ითვალისწინებს კონსტიტუციურ გარანტიებს, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების დაცვასთან, რომელიც ეხება „პირის ჯანმრთელობას, ფინანსებს, ოჯახურ ცხოვრებას ან სხვა პირად საქმეებს“ (მუხლი 13³ (5)). ამ მხრივ ისინი იცავენ მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს.²⁶

20. თუმცა, არსებობს ნორმატიული თანმიმდევრულობის ხარვეზი საერთო სასამართლოების შესახებ მოქმედი კანონის მე-13 მუხლსა²⁷ და ამ დებულებაში შემოთავაზებულ დამატებებს შორის ცვლილების კანონპროექტის 1¹ თავის სახით. მიუხედავად იმისა, რომ მე-13 მუხლი ითვალისწინებს, რომ *ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე...*, ცვლილების კანონპროექტი 13³ მუხლი დამოუკიდებლად არეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტის, როგორც საჯარო ინფორმაციის გარკვეულ პირობებში, გავრცელებას. აღნიშნული პირობები გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიიღება ღია სხდომაზე, ხოლო მოთხოვნას აკეთებს პირი, რომელიც სხვა არსებული დებულებების საფუძველზე ვერ მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილების სრულ ტექსტს ნაწილობრივ ან სრულად და მოთხოვნა არის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სახით წარდგენილი. რეკომენდირებულია ზემოაღნიშნული წინააღმდეგობებისა გამოსწორება და იმ პირობების დადგენა, რომლის ფარგლებში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო გადაწყვეტილება და მისი გამოქვეყნება შესაბამისი წესის თანახმად.
21. ცვლილების კანონპროექტი სასამართლო გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცედურაზე არის დამოკიდებული. აღნიშნული მიდგომა ასევე შორსაა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ საჯარო ინფორმაციის

²⁶ იხილეთ 2016 წლის 27 აპრილის 2016/679 რეგულაცია ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ასეთი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით და მისი გაუქმების შესახებ დირექტივა 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) OJ L 119/1 2016 წლის 4 მაისი.

²⁷ მე-13 მუხლი საქმის წარმოების საჯაროობის შესახებ ადგენს: „1. სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. 2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. 3. სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ. 3¹. ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად. 4. (ამოღებულია - 06.03.2013, N260) 5. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით“.

ხელმისაწვდომობის უფლების ფართოდ აღიარებულ კონცეფციისგან. აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების და ხელმისაწვდომობის გამარტივებული პროცედურა, ხოლო ცვლილების კანონპროექტის ¹¹ თავი აწესებს მთელ რიგ დაბრკოლებებს აღნიშნული პროცესისთვის. ეს და სხვა საკითხები დეტალურად განხილულია ქვემოთ. ზოგადად, სასამართლოს ვებგვერდზე ან ცენტრალურ საიტზე სრულად დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო აქტების გამოქვეყნება ზოგად წესად უნდა ჩაითვალოს, ხოლო პერსონალიზებული მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა ხდებოდეს, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, განსაკუთრებით თუ ამას ითხოვს მედია ან განმცხადებელი, რომელსაც გააჩნია კანონიერი ინტერესი.

რეკომენდაცია A.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილების სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებასა და ცვლილების კანონპროექტის ¹³ მუხლს შორის, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სრული ან ნაწილობრივი დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება, არსებული წინააღმდეგობების გადაჭრა და გამოქვეყნების პირობების დაკონკრეტება, მათ შორის სრულად დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) სასამართლო აქტების გამოქვეყნება, როგორც ზოგადი წესი, ხოლო ლეგიტიმური ინტერესის შემთხვევაში - პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შესაძლებლობა.

3.2. სასამართლო აქტების გამოქვეყნების მეთოდები

22. ცვლილების პროექტის მე-13⁴ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს შეუძლია 2024 წლის 1 მაისამდე მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან შესაბამის სასამართლოს 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო აქტების ტექსტში ინფორმაციის დაცვისა და გაუმჟღავნებლობის მოთხოვნით. აღნიშნული მუხლი ასევე ადგენს, რომ თუ პირი არ მოითხოვს აღნიშნულს დადგენილი ვადის გასვლამდე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის თანახმაა ამ ინფორმაციის გასაჯაროებაზე. რამდენადაც ზემოაღნიშნული ემსახურება პერსონალური მონაცემების დაცვის მიზანს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი მნიშვნელოვანი ცვლილებები ეცნობოს საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებული იყო დიდი ხნის წინ და უკვე მივიწყებულია. მე-9 პუნქტი ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას ახლად დადგენილი წესების შესახებ ამის შესახებ

ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით. თუმცა, იმის გამო, რომ ყველას შეიძლება არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან ან არ იცოდეს სად მოიძიოს ასეთი ინფორმაცია, კომუნიკაციის ალტერნატიული გზების გამოკვლევა საჭიროა ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწვდენად. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი გაზეთების და შესაბამისი პროფესიული ვებგვერდების ან სხვა მედია არხების მეშვეობით.

23. ცვლილების კანონპროექტის 13⁴ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაბამის სასამართლოს ეძლევა ერთი წლამდე ვადა (2024 წლის 1 მაისამდე), რათა გადაწყვიტოს გამჟღავნების შესახებ მოთხოვნის დასაშვებობა და ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის ძალაში „მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში“ (მუხლი 13⁴(4)). ამასთან, გაუგებარია, რატომ ადგენს მე-13⁴ მუხლის მე-8 პუნქტი, რომ „დაუშვებელია 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო აქტის სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა 2025 წლის 1 მაისამდე“. როგორც ჩანს, ეს ასევე ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ (2) - (4) პუნქტებს, რომლებიც არ ამტკიცებენ 2023 წლის 1 მაისამდე მიღებული სასამართლო აქტების (სრულად ან ნაწილობრივ) დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის სრულ აკრძალვას 2025 წლის 1 მაისამდე. სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს 2024 წლის 1 მაისის შემდეგ მოკლე ვადაში და იგი ძალაში შევა მისი მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, როგორც ამას 13⁴ მუხლის (3) პუნქტი ითვალისწინებს. მე-13⁴ მუხლის გადახედვა საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილების დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტის გავრცელების ვადების დაზუსტების მიზნით.
24. 2023 წლის 1 მაისის შემდეგ მიღებული სასამართლო აქტების ტექსტების მიმართ მიდგომა განსხვავებულია. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ღია სხდომაზე წყვეტს, სასამართლოს მიერ იმავე საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო აქტის სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში, ცვლილების კანონპროექტის მე-13⁵ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ნება მიღებული/მისაღები სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ პირის შესახებ ასახული პერსონალური ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გამჟღავნებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ იმავე საქმეზე.“ იმავე პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ პირი უარს იტყვის ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან მისი სურვილი არ არის ნათლად გამოხატული, სასამართლო იტოვებს უფლებას დაუშვას ასეთი ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გამჟღავნება. მე-13⁵ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ პირი განსაზღვრულ ვადაში არ წარუდგენს სასამართლოს წერილობით დასაბუთებულ უარს ინფორმაციის გამჟღავნებაზე“, ითვლება, რომ მან თანხმობა განაცხადა ამ ინფორმაციის საჯაროდ ინფორმაციის სახით გავრცელებაზე, მათ შორის „ამ პირის მიერ მოხსენიებული სხვა პირის შესახებ“. იმავე მუხლში ასევე არის მითითება

„გონიერულ“ ვადაზე, ასეთი ვადის განსაზღვრის გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროაქტიული მიდგომა მონაწილეთა მათი უფლებების შესახებ არსებული დებულებების ინფორმირებისთვის არის ისეთივე აუცილებელი გამჭვირვალობისთვის, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პროცესის მონაწილეებს მკაფიოდ მიეწოდოთ ინფორმაცია მიღებულ სასამართლო აქტ(ებ)ში პერსონალური ინფორმაციის არ გამჟღავნების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ.

3.3. სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება სასამართლო აქტების გავრცელების შესახებ

25. ცვლილების კანონპროექტის მე-13⁵ მუხლის (5) და (6) პუნქტები იძლევა შესაძლებლობას მიღებული სასამართლო აქტების ტექსტების გავრცელების შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებას როგორც იმ პირების მიერ, რომლებსაც ეხება გადაწყვეტილება (პუნქტი 5), ასევე ნებისმიერი სხვა პირის მიერ (პუნქტი 6). სააპელაციო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში. უფრო მეტიც, მე-6 პუნქტი ზღუდავს ერთი და იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრებას ორ კალენდარულ წელიწადში ერთხელ.
26. სასამართლო გადაწყვეტილებების შემდგომი გავრცელების მიზნით ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ვალდებულებამ შეიძლება ზედმეტად გადატვირთოს სასამართლოები და დააშოროს ისინი მათ ფუნდამენტურ როლს - საქმეების განხილვას.²⁸
27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია გამარტივდეს დეპერსონალიზებულ ტექსტებზე (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) წვდომის პროცედურა, ასევე ინფორმაციის გამჟღავნებაზე მხარეთა თანხმობის გადამოწმების პროცედურა, პერსონალური მონაცემების დაცვასა და სასამართლო სისტემის სამართლიანობის ეფექტიანად აღსრულების უნარის დარღვევის გარეშე.

რეკომენდაცია B.

გამარტივდეს დეპერსონალიზებულ ტექსტებზე (პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე) ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე მხარეთა თანხმობის გადამოწმების პროცედურა პერსონალური მონაცემების დაცვისა და სასამართლო სისტემის შესაძლებლობაზე მართლმსაჯულების გამჭვირვალედ აღსრულების საფრთხის შექმნის გარეშე.

²⁸ მაგალითად, [ევროპის საბჭოს რეკომენდაციის CM/Rec\(2010\)12](#) 39-ე პუნქტი ადგენს, რომ „სასამართლოებში გადაჭარბებული დატვირთვის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული სხვა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებისთვის არასასამართლო ამოცანების მინიჭების მიზნით.“

4. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე
კანდიდატების შერჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ

4.1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა

28. ცვლილების კანონპროექტის 21 (1¹) მუხლი დიდწილად იმეორებს და გარკვეულწილად ცვლის საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მოქმედ 36(1) მუხლს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით და ასევე მიუთითებს არა-განმეორებით 10-წლიან ვადაზე, რომელიც კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტშია მოხსენიებული.
29. ამ დებულების პროექტში არის რამდენიმე საკითხი, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, მასში ნათქვამია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ხმების არანაკლებ ორ მესამედს ითვლება წარდგენილად. თუმცა, იმავე დებულებაში შემდგომ ნათქვამია, რომ „კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას“. გაურკვეველია ეხება თუ არა ეს უკანასკნელი ისეთ სცენარს, როდესაც არცერთი კანდიდატი არ მიიღებს ხმების ორ მესამედს, რადგან ამ დებულების ფორმულირება არ მიუთითებს რაიმე თანმიმდევრობაზე.
30. გარდა ამისა, როგორც ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაშია აღნიშნული,²⁹ სასამართლოების თავმჯდომარეების შერჩევის წესი უნდა შეესაბამებოდეს იმავე პროცედურას, რაც დადგენილია სხვა მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნისას. განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შემთხვევაში შესაბამისი პროცედურებიდან სრულად უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური გავლენის ყოველგვარი შესაძლებლობა.³⁰ მოქმედი წესით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან პარლამენტის მიერ ხმათა უმრავლესობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი და ცვლილების კანონპროექტი არ აკონკრეტებს შერჩევის კრიტერიუმებს და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ასარჩევად კანდიდატის წარდგენის პროცედურა. შედეგად, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოების შეხედულებაზე სასამართლოს სისტემაზე, საფრთხე შეუქმნას მის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ნდობას ამგვარი ინსტიტუტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების მიმართ.³¹ ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, ზოგადად რეკომენდებულია ისეთი მოდელის არჩევა, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევა/შერჩევა ხდება შესაბამისი უზენაესი

²⁹ OSCE/ODIHR-ის მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტის შესახებ (2019 წლის 17 აპრილი)

³⁰ იხილეთ [CCJE-ს დასკვნა No19 სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ](#), პუნქტები 37-40.

სასამართლოს მოსამართლეების მიერ.³² ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარეების ელექტრონული არჩევნების/შერჩევის პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს და ითვალისწინებდეს გარანტიებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობის ფუნდამენტური პრინციპების შესანარჩუნებლად.³³ რეკომენდებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიერ მოხდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა/შერჩევა. როგორც ალტერნატივა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეციის შეზღუდვის მიზნით, ცვლილების კანონპროექტში უკეთესად უნდა განისაზღვროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის წარდგენის პროცედურა და ობიექტური, დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმები.³⁴

რეკომენდაცია C.

უზრუნველყოფილ იქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიერ საკუთარი წევრებიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აირჩიონ/შეარჩიონ, ან როგორც ალტერნატივა, უკეთ განისაზღვროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურა და ობიექტური და დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნები და დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა.

4.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის

31. ცვლილების კანონპროექტის 34-ე მუხლს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილებები შეაქვს საერთო სასამართლოების შესახებ მოქმედი კანონის 34-ე მუხლში მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით. დებულებაში ჩამოთვლილია მოსამართლის კანდიდატის მიმართ არსებული მოთხოვნები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობა, მინიმალური ასაკი (30 წელი), განათლება (მაგისტრატურა ან მისი ეკვივალენტი), პროფესიული მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება და სახელმწიფო ენის ცოდნა. მსჯავრდებული პირების და მოსამართლეობიდან გათავისუფლებული პირების (დისციპლინური საფუძვლებით) დანიშვნა მოსამართლედ დაუშვებელია. 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კვალიფიკაციის მიზნებისათვის კანდიდატმა უნდა „ჩააბაროს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა,

³² იხილეთ *ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი*, პუნქტები 2, 5.3 და 5.5; *CCJE-ს დასკვნა No19 სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ*, პუნქტი 53; *კიევის 2010 წლის რეკომენდაციები*, პუნქტი 16; და *OSCE/ODIHR, მოსაზრება პოლონეთის უზენაესი სასამართლოს შესახებ აქტის პროექტის გარკვეული დებულებების შესახებ* (2017 წლის 30 აგვისტო), პუნქტი 107 და *OSCE/ODIHR გადაუდებელი დასკვნა ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკონსტიტუციო კანონის შესახებ* (2022 წლის 30 სექტემბერი), პუნქტი 36.

³³ *CCJE დასკვნა No19 სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ*, პუნქტები 37-40 და 53.

³⁴ იხილეთ *ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი*, პუნქტები 2, 5.3 და 5.5; *CCJE-ს დასკვნა No19 სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ*, პუნქტი 53; *2010 წლის კიევის რეკომენდაციები*, პუნქტი 16; და *OSCE/ODIHR, მოსაზრება პოლონეთის უზენაესი სასამართლოს შესახებ აქტის პროექტის გარკვეული დებულებების შესახებ* (2017 წლის 30 აგვისტო), პუნქტი 107; და *OSCE/ODIHR-ის გადაუდებელი დასკვნა ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კონსტიტუციური კანონის შესახებ* (2022 წლის 30 სექტემბერი), პუნქტი 36.

დაასრულოს სწავლის სრული კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და ჩაირიცხოს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში“. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე წარდგენილი პირი ან უზენაესი სასამართლოს აქტიური ან ყოფილი წევრი თავისუფლდება, ისევე როგორც ადრე, მოსამართლის თანამდებობაზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან (ცვლილების კანონპროექტის მუხლი 34 (3) და (4)). პრინციპში, ასეთი გამონაკლისები მისასაღმებელია, რადგან ისინი ხელს უწყობენ მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე იურისტების წვდომას მოსამართლის თანამდებობებზე, მათ შორის უმაღლეს დონეზე, რაც თანხვედრაშია კიევის რეკომენდაციებთან.³⁵

32. თუმცა, როგორც აღნიშნულია ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაში, ხუთწლიანი გამოცდილების მოთხოვნა 30 წლის მინიმალურ ასაკთან ერთად, არ არის ადეკვატური იმ მინიმალური მოთხოვნების დაწესების მხრივ, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი სასამართლოს კანდიდატებისთვის უფრო მაღალ სტანდარტებს³⁶. როგორც ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაში და მის მონიტორინგის ანგარიშებში არის რეკომენდირებული, **კანონმდებლებმა უნდა გაითვალისწინონ საჭირო პროფესიული გამოცდილების, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციური სამართლის გამოცდილების რაოდენობის გაზრდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისას, რაც თავისთავად გამოიწვევს კანდიდატების უფრო მაღალ ასაკს.** ზემოაღნიშნულს ასევე ემატება კანდიდატების შერჩევის/შეფასების დამატებითი კრიტერიუმები, რომელიც უნდა იყოს ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე, რაც ქვემოთ არის დეტალურად განხილული.

რეკომენდაცია D.

განხილულ იქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო პროფესიული გამოცდილების წლების რაოდენობის გაზრდა.

4.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატთა შერჩევის მეთოდები

33. ცვლილების კანონპროექტის 34¹ (11) მუხლს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის უმნიშვნელო მოდიფიკაციებს შემოაქვს მის ამჟამინდელ ვერსიასთან შედარებით. ამიტომ იგი ინარჩუნებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატების შეფასებას მოქმედი საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35¹ მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, „კეთილსინდისიერება და კომპეტენცია“. შეფასების კრიტერიუმები ასევე განსხვავდება სასამართლო გამოცდილების მქონე

³⁵ 2010 წლის კიევის რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ „მოსამართლის პროფესიაზე წვდომა უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ ახალგაზრდა იურისტებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური მომზადება, არამედ იურიდიულ პროფესიაში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე იურისტებსაც (ანუ სასამართლო სისტემაში შუა კარიერის განმავლობაში შესვლის გზით). საკულდაგულოდ უნდა შეფასდეს, რამდენად შეუძლია შესაბამის პროფესიაში მიღებული გამოცდილების კვალიფიკაცია მოსამართლეობის კანდიდატებს.“

³⁶ იხილეთ ODIHR-ის 2019 წლის აზრი, პუნქტები. 32 და 36.

კანდიდატებს შორის (პუნქტი 17) და სასამართლო გამოცდილების გარეშე (პუნქტი 16). თითოეული კრიტერიუმის შეფასების ელემენტები დეტალურად არის აღწერილი ცვლილების კანონპროექტის 35¹ მუხლში. თუმცა, გარდა იმ კრიტერიუმების, რაც მოსამართლეობის ქვედა თანამდებობაზე მყოფი კანდიდატებისთვისაა საჭირო, არ არსებობს სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მოეთხოვებათ უმაღლესი ეროვნული სასამართლო თანამდებობის კანდიდატებს.

34. მოსამართლეთა შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს კანონით წინასწარ დადგენილ ობიექტურ და მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს მათი შესაძლებლობების, პატიოსნებისა და გამოცდილების შესაფასებლად, ამასთან, სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობა უნდა ირეკლავდეს ფართო მოსახლეობის შემადგენლობას და იყოს გენდერულად დაბალანსებული.³⁷ მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კანდიდატის შერჩევა ეფუძნებოდეს მის დამსახურებას და კვალიფიკაციას, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც საჭიროა სარჩელების განხილვისათვის, მათ შორის უმაღლეს დონეზე, კანონის მისადაგებით და ადამიანის უფლებათა ნორმების გათვალისწინებით.³⁸
35. როგორც ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაშია გათვალისწინებული, არის მოლოდინი, რომ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისას დამატებითი პიროვნული უნარები და თვისებები იქნება გათვალისწინებული. მაგალითად, სხვადასხვა თემისა და ჯგუფის საჭიროებების ობიექტურად შეფასების უნარი, ადამიანის უფლებების საკითხში მნიშვნელოვანი გამოცდილება, ვინაიდან უზენაეს სასამართლოს გააჩნია საკვანძო როლი აღნიშნული კუთხით, კრეატიულობა და მოქნილობა რთული და მგრძნობიარე საკითხების განხილვისათვის, სასამართლო სისტემისადმი, როგორც ინსტიტუტის მიმართ, მოვალეობის გრძნობა, და მაღალი მოსამართლეობის კანდიდატებისთვის საჭირო სხვა თვისებები, როგორცაა კარგი რეპუტაცია და კეთილსინდისიერება, სხვა თვისებებთან ერთად.³⁹ მიუხედავად იმისა, რომ ცვლილების კანონპროექტის შემოთავაზებული მუხლი 34¹(11) უფრო ლაკონურია და ხასიათდება გამჭვირვალობის მაღალი დონით, როგორც ამას ODIHR და ვენეციის კომისია უწევს რეკომენდაციას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატების შეფასების კრიტერიუმები დიდწილად მსგავსია უფრო დაბალი სასამართლოს მოსამართლეებისთვის დადგენილი სტანდარტებისა. გარდა ამისა, ცვლილების კანონპროექტის 35¹ მუხლი კონკრეტულად ეხება ადამიანის უფლებათა სამართლის ცოდნას სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას, მაგრამ ეს შეიძლება კიდევ უფრო ხაზგასმული იყოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის მსგავსი

³⁷ იქვე. პარაგრაფი 41 და მასში მითითებული საერთაშორისო და რეგიონალური წყაროები 47-დან 50-მდე სქოლიოებში.

³⁸ იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა ცენტრის [2007 წლის გენერალური კომენტარი No. 32](#), პუნქტი 19; 2010 წლის ევროპის [საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec\(2010\)12](#), პუნქტი 44; და [2010 წლის კიევის რეკომენდაციები](#), პუნქტი 21

³⁹ იხილეთ [ვენეციის კომისია, მოსაზრება ბოსნია და ჰერცეგოვინის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა სასამართლო დაცვის რეფორმის შესახებ, CDL\(1999\)078](#), 30 და 32 პუნქტები; იხილეთ [დანიშვნის კრიტერიუმები](#) დიდი ბრიტანეთის უზენაეს სასამართლოში; აგრეთვე [ENCI, დუბლინის დეკლარაცია მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის მინიმალურ სტანდარტების შესახებ](#) (2012 წლის მაისი), ინდიკატორი No. I.4

უნარებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით. რეკომენდირებულია ცვლილების კანონპროექტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის/შეფასების დამატებითი კრიტერიუმებით შევსება, გარდა იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც საჭიროა ქვედა დონის სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობებისთვის.

36. და ბოლოს, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში და ცვლილების კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა. ამჟამად, უზენაესი სასამართლოს 28 მოსამართლიდან, თერთმეტი ქალი და ჩვიდმეტი მამაკაცია.⁴⁰ როგორც რეკომენდირებულია 2019 წლის დასკვნაში, უზრუნველყოფილ რომ იქნეს გენდერული ბალანსი და მისი შენარჩუნება სამომავლო არჩევნებში და ასევე შესაბამისობაში იყოს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებთან,⁴¹ საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან,⁴² კანონმდებელმა შეიძლება განიხილოს ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს უზენაეს სასამართლოში ქალებისა და მამაკაცების შედარებითი წარმომადგენლობის საკითხს პარლამენტში წარსადგენად კვალიფიციური კანდიდატების შერჩევის/დასახელებისას.

4.3.1 საჯაროობა

37. 2019 წლის ODIHR-ის დასკვნის გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში და როგორც ODIHR-ის მონიტორინგის ანგარიშებში არის აღნიშნული, გათვალისწინებულ იქნა მთელი რიგი ცვლილები, როგორცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დონეზე შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის და სამართლიანობის გაუმჯობესება, მათ შორის ფარული კენჭისყრის მოხსნა და ახალი მოთხოვნის დაწესება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ქულების მინიჭების და ნომინაციის გადაწყვეტილებების წერილობითი დასაბუთების წარმოდგენის შესახებ, რომელიც საჯაროდ ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე პროცესის თითოეულ ეტაპზე. დადგინდა ნომინირების პროცესის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც. აღნიშნული საშუალებას აძლევს წარუმატებელ კანდიდატებს უკეთ გააცნობიერონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველი და ასევე ხელს უწყობს წარუმატებელი განაცხადების გასაჩივრების ეფექტურობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ

⁴⁰ იხილეთ < საქართველოს უზენაესი სასამართლო >.

⁴¹ ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ უზრუნველყონ „სპეციალური ზომები გენდერული ბალანსის მიზნის მისაღწევად ყველა სასამართლო და აღმასრულებელ ორგანოში“ (ათენი, 2009) და უზრუნველყონ, რომ „მოსამართლეები იყვნენ სათანადოდ კვალიფიციური, მომზადებული და შერჩეული არა დისკრიმინაციული საფუძველით“ (მოსკოვი, 1991); იხ. ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 7/09, „ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, ათენი, 2009 წლის 2 დეკემბერი, პუნქტი 1; და CSCE-ს ადამიანური განზომილების კონვენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, მოსკოვი, 1991 წლის 10 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, პუნქტი 19.2 (iv).

⁴² იხილეთ [2019 წელი ODIHR-ის აზრი](#), პუნქტი. 47 და მასში მოყვანილი ცნობები.

განმცხადებელი თვლის, რომ უსამართლოდ მოექცნენ ან რომ ადგილი ჰქონდა დანიშვნის პროცესში კანონის ან პროცედურულ დარღვევას.⁴³

38. საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებში როგორც წესი არ ხდება კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ვინაობის და მათი შესაბამისი წერილობითი დასაბუთების საჯაროდ გამჟღავნება. ODIHR-ის მონიტორინგის ანგარიშებში დოკუმენტირებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესის რთულ კონტექსტში, როგორც ჩანს, ღიაობა და გამჭვირვალობა არსებითად იქნა მიჩნეული პროცესისა და ზოგადად სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად. მიუხედავად ამისა, ODIHR-ს სურს გაიმეოროს, რომ როდესაც უნდა დადგინდეს თუ რამდენად საჯარო უნდა იყოს მოსამართლეების შერჩევის/დანიშვნის პროცესის სხვადასხვა ეტაპი, კანონმდებლებმა, სასამართლო ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციით რეგულარულად უნდა შეაფასონ, თუ რამდენად დეტალურად უნდა გამოქვეყნდეს ამგვარი ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით, მათ სათანადოდ უნდა აწონ-დაწონონ მეტი ან სრული საჯაროობისა და გამჭვირვალობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დააბალანსონ ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობის დაცვის და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ქვეყნის კონტექსტზე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და ზოგადად სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის დონეზე.⁴⁴
39. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილების კანონპროექტის 34¹ მუხლის მე-13 პუნქტი ასევე ითვალისწინებს, რომ „ამ პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის შედეგები, [იუსტიციის უმაღლესი საბჭოს] წევრების მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების დასაბუთება საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება“, არ არის ნათელი, როდის უნდა გამოქვეყნდეს ასეთი ინფორმაცია და ექნება თუ არა კანდიდატს მასზე წვდომა საჩივრის ინიცირებამდე. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაუქმებულია და იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ახალ გადაწყვეტილებას, მისი განმეორებით გასაჩივრება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში შეუძლებელია (იხ. პუნქტი 55 ქვემოთ). რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ვინაობის, მათი ხმების და დასაბუთების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაბამისი კანდიდატებისთვის დროულად გამჟღავნება, მათ შორის საჩივრის ოფიციალურად წარდგენამდე. ზემოაღნიშნული მოსაზრებები ასევე უნდა გავრცელდეს ხმის მიმცემი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ვინაობის საჯაროდ გამჟღავნებასა და მათ შესაბამის წერილობით დასაბუთებასთან დაკავშირებით.

⁴³ იხილეთ 2019 წლის ODIHR-ის დასკვნა, პუნქტი 57. აგრეთვე ENCJ, [დუბლინის დეკლარაცია, რომელიც ადგენს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის მინიმალურ სტანდარტებს](#) (2012 წლის მაისი), ინდიკატორი No. II.9.

⁴⁴ იხილეთ ODIHR-ის [2019 წლის დასკვნა](#), პუნქტი 56 და მასში მოყვანილი ცნობები.

40. ცვლილების კანონპროექტის 34¹ მუხლის (13) პუნქტის ახალი ფორმულირება ინარჩუნებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის კენჭისყრას პროცესს ორ ეტაპად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური შეფასებებისა და დასაბუთებების შედგენა საკმარისი უნდა იყოს კანდიდატების რეიტინგისთვის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტში წარსადგენი კანდიდატთა მოკლე და საბოლოო სიის დასადგენად.⁴⁵ როგორც ამას საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს, „*მოსამართლეთა შერჩევისა და მათ შესახებ კარიერული გადაწყვეტილებები უნდა იყოს დაფუძნებული დამსახურებაზე, იმ კვალიფიკაციის, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა კანონის მისადაგებისთვის, ადამიანის ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფით*“.⁴⁶ სირთულის დამატებითი ფენის დამატების გარდა, ხმის მიცემის პროცედურა არ არის ყველაზე ადეკვატური მეთოდი დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის უზრუნველსაყოფად და ინდივიდუალური ხმები შეიძლება ასევე არ შეესაბამებოდეს ინდივიდუალური შეფასებების შედეგებს, რაც საბოლოოდ საფრთხეს უქმნის დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნას.⁴⁷ ზემოაღნიშნული მაშინაც აქტუალურია, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ წერილობითი დასაბუთების გამოქვეყნება იძლევა ხმებსა და მოწოდებულ წერილობით დასაბუთებებს შორის შესაძლო წინააღმდეგობების იდენტიფიცირების საშუალებას, რაც შესაძლოა გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების საფუძველი. პრაქტიკაში, ODIHR-ის მონიტორინგის ანგარიშებში აღინიშნა თანმიმდევრულობა ხმებსა და შეფასებებს შორის, თუმცა ხაზგასმით აღინიშნა, რომ წერილობითი დასაბუთებები საკმაოდ ზედაპირულია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამგვარი დამატებითი კენჭისყრის საფუძველს.⁴⁸ კანონმდებლებმა ხელახლა უნდა გადახედონ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევის პროცესში ხმის მიცემის წესს და სანაცვლოდ დაეყრდნონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებულ ინდივიდუალურ შეფასებებსა და დასაბუთებებს, რაც უკეთ უზრუნველყოფს დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის პროცედურას.

⁴⁵ იხილეთ 2016 წლის კეიპტაუნის პრინციპების მე-11 პრინციპი [მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნაში დამოუკიდებელი კომისიების როლის შესახებ](#). აგრეთვე [OSCE/ODIHR-ის მოსაზრება სასამართლოების, სასამართლო ადმინისტრაციებისა და მონღოლეთის მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონების შესახებ](#) (2020 წლის 3 მარტი), პარაგრაფები. 130-131.

⁴⁶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)12 წევრ ქვეყნებს მოსამართლეთა შესახებ: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობა, პუნქტი. 44.

⁴⁷ 2019 წლის შერჩევის პროცესში, 2019 წლის 4 სექტემბერს ფარული კენჭისყრით შერჩეული 20 კანდიდატი არ დაემთხვა 20 საუკეთესო კანდიდატს მიღებული ქულების მიხედვით, რადგან 20 შერჩეულს შორის ხუთი კანდიდატი არ მოხვდა; იხილეთ [ODIHR-ის 2019 წლის ანგარიში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საკრთველოში](#), გვერდი 4.

⁴⁸ იხილეთ [ODIHR-ის 2021 წლის მესამე ანგარიში საკრთველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ](#), პუნქტი. 21.

რეკომენდაცია E.

გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევის პროცესში ხმის მიცემის პროცედურა და სანაცვლოდ გათვალისწინებულ იქნეს უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური შეფასებებისა და დასაბუთებების შეჯამება.

4.3.3 დარღვევები შერჩევის პროცესში

41. ცვლილების კანონპროექტის 34³ მუხლის (13¹) ახალი წინადადების თანახმად, თუ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა დაადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა „გამოავლინა მიკერძოებულობა“ შერჩევის პროცესში ან მისი „მიდგომა იყო დისკრიმინაციული“ და/ან გადააჭარბა კანონიერად მინიჭებულ უფლებამოსილებებს, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები ან „საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას“, ისინი აღარ მიიღებენ მონაწილეობას „მეორე გადაწყვეტილების/მეორე ნომინაციის“ შერჩევის პროცესში. აქ როგორც ჩანს იგულისხმება, რომ აღნიშნული პროცესი გამორიცხავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული წევრის მეორე ეტაპზე მონაწილეობას იმავე პროცესში ამ და სხვა კანდიდატების შერჩევისას. აღნიშნული დადებითი ჩანაწერია, რადგან უზრუნველყოფს კანდიდატის უფლებების დაცვის გარანტიებს; თუმცა, შედეგი ასეთი არასათანადო მოქმედებისათვის საკმაოდ შეზღუდული და მცირეა და ის ხელს არ შეუშლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს მონაწილეობა მიიღოს სხვა მოსამართლეების შერჩევის პროცესებში, რამაც საბოლოოდ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ამგვარი შერჩევის შედეგზე და საბოლოოდ შეარყიოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესების მიმართ ნდობა და მისი ლეგიტიმაცია. კანონმდებლებმა განიხილონ ცვლილების კანონპროექტში დამატებითი გარანტიების დამატება, რაც ხელს შეუშლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელსაც ზემოაღნიშნული მოქმედების გამო შეუზღუდეს შერჩევის პროცესში მონაწილეობა, თუნდაც გარკვეული დროით შეეზღუდოთ სხვა სასამართლო შერჩევის პროცესებში მონაწილეობა.
42. გარდა ამისა, თუ უკვე არ არის გათვალისწინებული სხვაგან ან შესაბამის კანონმდებლობაში, მიზანშეწონილია მკაფიო მითითებების დადგენა კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესის შესახებ, რომლითაც შეფასდება, გამოავლინა თუ არა მიკერძოება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა წერილობითი თუ ზეპირი სიტყვებით, სურათებით, ობიექტით, ქმედებებით ან გამოვლინდა მიკერძოებულობის სხვა მტკიცებულებები ან დისკრიმინაციული მიდგომა.
43. გარდა ამისა, გაურკვეველია, რას ნიშნავს პრაქტიკაში მითითება „სასამართლო დამოუკიდებლობის საფრთხის შექმნაზე“ და როგორ შეფასდება ის. სასურველია მოხდეს ასეთი ფორმულირების გადახედვა.

44. და ბოლოს, კანონი ან ცვლილების კანონპროექტი არ ფარავს იმ სიტუაციას, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრი დისკვალიფიცირებული იქნება მათი საქციელის საფუძველზე, რაც შეუძლებელს ხდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით კენჭისყრას და ამით პოტენციურად პარალიზებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცედურა. რეკომენდირებულია ცვლილების კანონპროექტში დამატების შეტანა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში შერჩევის პროცესის გაგრძელების მექანიზმი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის გარეშე.

5. მოსამართლეთა შერჩევა და სტატუსი

5.1. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის მეთოდები

45. ცვლილების კანონპროექტის 35-ე მუხლი ითვალისწინებს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა თანამდებობის დაკავების პროცედურებს. აღნიშნული მუხლის ახალი ვერსია უფრო ლაკონური და მარტივია, ვიდრე მისი ორიგინალი. იგი აწესებს ვაკანსიების საჯაროდ გამოცხადების ვადებს, მათ შორის, მათ გავრცელებას საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ორი ეროვნული მაუწყებლის მეშვეობით. ვაკანსიების ფართო გავრცელება მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების პოტენციურად უფრო განსხვავებული შეხედულებების მქონე კანდიდატებისთვის ხმის მისაწვდენად და, შესაბამისად, გავრცელების ახალი მეთოდები პოზიტიური ცვლილებაა მეტი გამჭვირვალობისა და ცნობიერების ამაღლებისკენ.⁴⁹ თუმცა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მართლაც მიეწოდებათ პოტენციურ კანდიდატებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სასამართლო სისტემაში ზოგადად ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს, კანონპროექტს შეიძლება დაემატოს ვაკანსიების გამოქვეყნება დამატებითი საშუალებებით, მათ შორის შესაბამისი პროფესიული ვებსაიტების ან მედიის საშუალებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები და ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.
46. გარდა ამისა, მე-2 პუნქტი მოითხოვს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნისათვის გადაწყვეტილების მიღებას ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, რომელიც მსგავსია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისა, 35-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.¹ ის მოიცავს კანდიდატის მიერ მინიმუმ 5 განხილული საქმის შეფასებას, რომლებიც შემთხვევითი პრინციპით შეირჩევა, ასევე იმ შემაჯამებელ/საბოლოო გადაწყვეტილებებს, რომელთა

⁴⁹ იხილეთ [2016 წლის კეიპტაუნის პრინციპები, პრინციპი 9](#) და [10](#). აგრეთვე იხილეთ [2013 წლის სტამბულის დეკლარაციის მე-13 ნაწილი სასამართლო პროცესებში გამჭვირვალობის შესახებ](#). აგრეთვე [OSCE/ODIHR-ის მოსაზრება სასამართლოების, სასამართლო ადმინისტრირებისა და მონღოლეთის მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონების შესახებ](#) (2020 წლის 3 მარტი), პუნქტი 130.

აღსრულება განხორციელდა. აღნიშნული მოთხოვნის ამ მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებას წარმოადგენს „მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა სამართლის შესახებ [...] მოსამართლეობის კანდიდატის ცოდნის დონის შეფასება, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენების სისწორე, აგრეთვე, [...] როგორც მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი, აზრის ნათლად და გასაგებად გამოხატვის უნარი, ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი.“ კანდიდატის მომზადების დონის შეფასება, შემთხვევით შერჩეულ საქმეებზე დაყრდნობით, ზოგადად მისაღებია. ამავდროულად, მოსამართლეები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფასდნენ მათი გადაწყვეტილებების ან ვერდიქტების შინაარსით (პირდაპირ ან გადაწყვეტილების გაუქმების მაჩვენებლების კალკულაციის გაანგარიშებით).⁵⁰ მიზანშეწონილია ამ შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება, რათა გამოირიცხოს მისი გადაწყვეტილების სისწორის შეფასება კონკრეტულ შემთხვევებში და უფრო მეტად ყურადღება გამახვილდეს მოსამართლის ანალიტიკურ და კომუნიკაციურ უნარებზე.

47. მე-3 პუნქტი უფლებას აძლევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, კონკურსის ფარგლებში, ნებისმიერ დარჩენილ ვაკანსიაზე წარადგინოს წარუმატებელი მოსამართლე კანდიდატები, რომლებმაც ვერ მიიღეს საჭირო ხმები. ასეთ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამსწრეთა უმრავლესობით შეუძლია გადაწყვიტოს განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება დამსწრეთა უმრავლესობით, ნაცვლად ორი მესამედისა. ეს პრობლემატურია სამი მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, გაურკვეველია პირველ ტურთან შედარებით მეორე ტურში დანიშვნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აუცილებელია, რომ აღნიშნული კანდიდატი აკმაყოფილებდეს სხვა კონკრეტული ვაკანსიის ყველა მოთხოვნას. მეორეც, გაუგებარია, უფლება აქვს თუ არა უმაღლეს საბჭოს მეორე ტურში წარადგინოს მოსამართლეობის კანდიდატები, რომლებმაც შეფასებისას უფრო დაბალი ქულა მიიღეს, ვიდრე მოსამართლეობის კანდიდატებმა, რომლებმაც პირველი ტური ვერ გაიარეს.⁵¹ ეს უკანასკნელი იძლევა კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მოთხოვნების გვერდის ავლის საშუალებას, შეიძლება წახალისოს ფავორიტიზმი, რომელიც შეიძლება იყოს უსამართლო, დისკრიმინაციული და უთანასწორო სხვა კანდიდატების მიმართ. და ბოლოს, არ არსებობს იმის საფუძველი ან დასაბუთება, რომ მხოლოდ ხმათა უმრავლესობით იქნეს გადაწყვეტილება მიღებული და არა ორი მესამედის მიერ, მითუმეტეს, რომ აღნიშნული გულისხმობს „დამსწრე ხმების უმრავლესობას“ და არა „ყველა წევრის უმრავლესობას“. ასეთი ტიპის კენჭისყრა კანდიდატებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კენჭისყრის პირველ ტურში მონაწილე კანდიდატებთან შედარებით და შეიძლება ზიანი მიაყენოს შერჩევის პროცესის სამართლიანობასა და ობიექტურობას. კვალიფიციური უმრავლესობის ხმის მოთხოვნის უბრალო უმრავლესობით ჩანაცვლება კიდევ უფრო გაამძაფრებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს. უფრო მეტიც, ეს

⁵⁰ იხილეთ 2010 წლის კიევის [რეკომენდაციები](#), პუნქტი. 28.

⁵¹ ასევე იხილეთ [ვენეციის კომისიის აზრი 2021 წლის დეკემბრის ცვლილებების შესახებ ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ](#) (2022 წლის 20 ივნისი), 21-23 პუნქტები.

მნიშვნელოვნად შეამცირებს არამოსამართლე წევრების მონაწილეობას შერჩევის პროცესში და მათ გავლენას პროცესზე, რაც ზოგადად არის გარანტია პირადი ინტერესის აღქმის, კორპორატივიზმისა და ნეპოტიზმის წინააღმდეგ. როგორც წინა დასკვნებში აღინიშნა, არამოსამართლე წევრების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, *რეკომენდირებულია სასამართლო საბჭოს შემადგენლობის ადეკვატური კვორუმი და კენჭისყრის პროცედურები (უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღება), რომ განხორციელდეს აღნიშნული მისწრაფება.*⁵²

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა შეიცვალოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეტი გამჭვირვალობა და ობიექტურობა წარუმატებელი კანდიდატების სხვა ვაკანსიების შესავსებად დანიშვნის პროცესში, ამავდროულად გარანტირებული იყოს შერჩევის კრიტერიუმებისა და ხმის მიცემის პროცესის თანაბარი გამოყენება შერჩევის პროცესის პირველ ტურში.

5.2. ვადა

49. ცვლილების კანონპროექტის 36(4)-(4³) მუხლი იმეორებს არსებულ მუხლს გარკვეული ცვლილებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მე-4 პუნქტს დაემატა ფორმულირება იმის შესახებ, რომ რაიონული სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე უვადოდ ინიშნება „*საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის ხმით*“ მიღებული გადაწყვეტილებით. აღნიშნული ფორმულირება შეესაბამება კონსტიტუციის 62-ე მუხლს.
50. 4¹ პუნქტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იტოვებს დისკრეციას გადაწყვეტოს მოსამართლის უვადოდ ან სამი წლის ვადით დანიშვნა. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადის უსაფრთხოება და მათი გათავისუფლების დაუშვებლობა სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიის განუყოფელი ნაწილია.⁵³ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ გარანტირებული ვადა საპენსიო ასაკის მიღწევამდე ან მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.⁵⁴ აღნიშნული წესიდან გამონაკლისი უნდა შემოიფარგლოს კანონით მკაფიოდ განსაზღვრული შემთხვევებით და მოსამართლეთა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა იქნას მიღებული მარტივად ან თვითნებურად.⁵⁵ როგორც ODIHR-ის წინა დასკვნებში იყო ხაზგასმული,

⁵² იხილეთ ENCJ, [მინიმალური სტანდარტები სასამართლო მმართველობაში არამოსამართლე წევრებთან დაკავშირებით](#) (2016), პუნქტი. II. 4

⁵³ 2010 CoE [რეკომენდაცია CM/Rec\(2010\)12](#), პუნქტი 49.

⁵⁴ 1985 [გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ](#), პრინციპი 12. CCJE [დასკვნა No. 1 \(2001\)](#), პუნქტები 57 და 60. 1998 წლის ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ადასტურებს, რომ ეს პრინციპი ვრცელდება სხვა ოფისში ან ადგილზე დანიშვნაზე ან თანამდებობაზე თანხმობის გარეშე (გარდა სასამართლოს ხელახალი ორგანიზაციის შემთხვევებისა ან როდესაც ასეთი ქმედებები მხოლოდ დროებითია). აგრეთვე ეუთოს [1991 წლის მოსკოვის D დოკუმენტი](#), პუნქტი. 19.2 (v), რომელიც მოიცავს მოსამართლეთა უფლებამოსილების გარანტიას კონკრეტულ ვალდებულებას.

⁵⁵ იხილეთ ODIHR, [დასკვნა პოლონეთის უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის პროექტის გარკვეული დებულებების შესახებ](#), 2017 წლის 30 აგვისტო, პუნქტი 67.

თავიდან უნდა იქნას აცილებული უფლებამოსილების შეზღუდული ვადები ან გამოსაცდელი ვადები, რადგან ისინი საფრთხის შემცველია, რომ მოსამართლეები იქნებიან ზეწოლის ქვეშ, რომ მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილებები გარკვეულ საქმეებზე ამ პერიოდის განმავლობაში და ამით უზრუნველყონ უვადო დანიშვნის უფლება.⁵⁶ თუ მცირე ვადით დანიშვნა განიხილება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალური გარანტიები ასეთი ხანმოკლე დროით თავდაპირველი დანიშვნების თავიდან ასაცილებლად, რომ საფრთხე არ შეექმნას სასამართლოს დამოუკიდებლობას, მათ შორის იმის უზრუნველყოფით, რომ გამოსაცდელი ვადის იყოს ხანმოკლე და არა გახანგრძლივებადი, ხოლო მის შემდეგ ავტომატურად მოხდეს უვადოდ დანიშვნა.⁵⁷ თუ დანიშვნის ვადა არის დროებითი ან შეზღუდული, როგორც ეს მითითებულია CCJE-ს №1 დასკვნაში, „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სრულ განაკვეთზე მოსამართლედ დანიშვნის ან ხელახალი დანიშვნის მეთოდის ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე პასუხისმგებელ ორგანოს“.⁵⁸ დანიშვნის ასეთი შეზღუდული ვადები უნდა გადაიხედოს.

51. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულმა შეიძლება შექმნას პრეცედენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა მიმართ შერჩევით და სუბიექტურ მოპყრობის სახით, რაც ძირს უთხრის მიუკერძოებლობისა და შერჩევის პროცესის თანასწორობის აღქმას. ასევე დისკრიმინაციულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული მე-4³ პუნქტის მიხედვით, მოსამართლე, რომელიც არ დაინიშნა უვადოდ „მომდევნო სამი წლის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში“. თუ მოსამართლე არ დაინიშნება უვადოდ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის არ არის კვალიფიციური მოსამართლეობის თანამდებობისთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ შერჩევის პროცესი საკონკურსო პროცესის ნაწილია. შერჩევაში მონაწილეობა ღია უნდა იყოს ყველა კვალიფიციური კანდიდატისთვის და არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინირება მოსამართლეების ან მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ, გარდა დისკვალიფიკაციისთვის დადგენილი კრიტერიუმის მიზეზით.⁵⁹ რეკომენდირებულია 36-ე მუხლის გადახედვა, რომ მოსამართლეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ მომავალ შერჩევის კონკურსებში დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე.

⁵⁶ იხილეთ მაგ., ODIHR, [დასკვნა მოლდოვის მოსამართლეთა შერჩევის, საქმიანობის შეფასების და კარიერის შესახებ კანონის შესახებ](#) (2014), პუნქტი 37.

⁵⁷ იხილეთ მაგ., ODIHR, [დასკვნა მოლდოვის მოსამართლეთა შერჩევის, საქმიანობის შეფასების და კარიერის შესახებ კანონის შესახებ](#) (2014), პუნქტი 37; და [გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის შესახებ](#), A/HRC/11/41, 2009 წლის 24 მარტი, პუნქტი 56.

⁵⁸ იხილეთ CCJE, [მოსაზრება No. 1 \(2001\)](#), პუნქტი 53; და [დასკვნა No. 19 \(2016\)](#) სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ, პუნქტი 44; აგრეთვე [OSCE/ODIHR-ის შუალედური დასკვნა მოლდოვის რესპუბლიკის იუსტიციის უზენაესი სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმის შესახებ კანონპროექტის შესახებ](#) (2019 წლის 16 ოქტომბერი), პუნქტები 43, 44 და 46.

⁵⁹ იხილეთ [რეკომენდაცია CM/Rec\(2010\)12](#), პუნქტი 45. აგრეთვე [კვიპტაუნის პრინციპები მოსამართლეთა შერჩევასა და დანიშვნაში დამოუკიდებელი კომისიების როლის შესახებ](#), პუნქტები 9 და 10.

5.3. ინფორმაციის მოძიება

52. გთავაზობთ წაიშალოს 35² მუხლი ინფორმაციის მოძიების შესახებ ცვლილების კანონპროექტიდან. როგორც ჩანს, ცვლილებების პაკეტში არ არის მსგავსი დებულება, გარდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მოქმედი 34² მუხლისა, რომელიც არეგულირებს იმავე საკითხს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის. გაურკვეველია, განზრახულია თუ არა მუხლის მთლიანად ამოღება თუ შესაძლოა უზენაესი სასამართლოსთვის დადგენილი მოთხოვნების გამოყენება სხვა მოსამართლეების მიმართ. მიუხედავად ამისა, ეს წინადადება არ აზუსტებს მეთოდოლოგიას, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ინფორმაციის მოძიებისას ან რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის წევრებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამგვარ შემოწმებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათი შერჩევის/დანიშვნის პირობებს და მათ პასუხისმგებლობებს, როგორც რეკომენდებულია ODIHR-ის 2019 წლის დასკვნაში.⁶⁰ ცვლილების კანონპროექტი უნდა შეიცვალოს შესაბამისად.

რეკომენდაცია F.

შეიცვოს ცვლილების კანონპროექტი, რომ მასში გათვალისწინებულ იქნეს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების გარანტიები ODIHR-ის წინა რეკომენდაციების შესაბამისად.

5.4. გენდერული საკითხების გათვალისწინება შერჩევის პროცესში

53. დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და გენდერულად სენსიტიურ სასამართლო სისტემას გადამწყვეტი როლი აქვს გენდერული თანასწორობის მიღწევაში და გენდერული მოსაზრებების მართლმსაჯულების განხორციელებაში ინტეგრირების უზრუნველსაყოფად.⁶¹ ამიტომ, სახელმწიფოებმა უნდა გაიღონ სათანადო ძალისხმევა სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურისა და შემადგენლობის შესაფასებლად, რომ სასამართლო ხელისუფლების ყველა დონეზე უზრუნველყონ ქალთა ადეკვატური წარმომადგენლობა და აუცილებელი პირობები გენდერული თანასწორობის განვითარებისათვის.⁶²

⁶⁰ იხილეთ [ODIHR-ის მეორე ანგარიში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საკრთველოში](#), პუნქტები 71-73.

⁶¹ იხილეთ CEDAW-ის მუხლი 1; და გაეროს გენერალური ასამბლეა, [სპეციალური მომხსენებლის ანგარიში გენდერისა და მართლმსაჯულების საკითხებში მოსამართლეთა და იურისტების დამოუკიდებლობის შესახებ](#), A/HRC/17/30, 2011 წლის 29 აპრილი, პუნქტი. 45. აგრეთვე იხილეთ ვენეციის კომისია, [დასკვნა ბოსნია და ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს ხმის მიცემის შემთავაზებული წესების შესახებ](#), პუნქტი. 13; და [დასკვნა პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის შესახებ 2015 წლის 25 ივნისის აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ](#), პუნქტი. 119.

⁶² აგრეთვე გაეროს CEDAW კომიტეტი, [ზოგადი რეკომენდაცია No. 23 \(1997\) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ](#), პუნქტი 5; [პეკინის მოქმედების პლატფორმა, თავი I ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მოხსენების](#), პეკინი, 1995 წლის 4-15 სექტემბერი (A/CONF.177/20 და Add.1), 182 და 190 პარ. „მიიღოს ზომები ძალაუფლების სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“; CoE, [მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის Rec \(2003\)3 დანართი პოლიტიკური](#)

ამავე დროს, მოსამართლეთა შერჩევასა და დანიშვნაში მრავალფეროვნების მიღწევის მცდელობა არ უნდა განხორციელდეს დამსახურების ხარჯზე. ეუთოს ათენის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს „გენდერული ბალანსის მიზნის მისაღწევად განიხილონ კონკრეტული ზომების მიღება ყველა საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოში.“⁶³ მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე იკისრეს ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ „მოსამართლეები იყვნენ სათანადოდ კვალიფიცირებული, მომზადებული და შერჩეული არადისკრიმინაციულ საფუძველზე“ (მოსკოვი 1991).

54. საქართველოს კონსტიტუცია ამტკიცებს ყველა ადამიანის თანასწორობას (მუხლი 11(1)). მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი დამატებით აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ასევე აკრძალულია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონით (მუხლი 4).
55. ცვლილების კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს შემადგენლობის დაბალანსებას გენდერული და სხვა განსხვავებული ნიშნების თვალსაზრისით.⁶⁴ პირიქით, ახალი მუხლი იწარჩევს პრინციპს, რომ შერჩევის პროცესში ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, აირჩევა უფრო ხანგრძლივი გამოცდილების მქონე მოსამართლე. სასამართლო სისტემაში ყველა დონეზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია ცვლილების კანონპროექტს დაემატოს დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული საკითხის გათვალისწინებას სასამართლოში დანიშვნის პროცესში. აღნიშნული შეიძლება გულისხმობდეს ისეთი მექანიზმის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს ქალებისა და კაცების შედარებით წარმომადგენლობას დანიშვნებისას, თუმცა არა დამსახურების ძირითადი კრიტერიუმის ხარჯზე.⁶⁵

და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ, მიღებული 2003 წლის 12 მარტს, რომელიც ეხება მინიმუმ 40% წარმომადგენლობის მიღწევის მიზანს. ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და მხარდაჭერის ღონისძიებების მეშვეობით.

⁶³ იხილეთ ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 7/09, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პუნქტი 20.

⁶⁴ იხილეთ ODIHR, ნაშრომი გენდერის, მრავალფეროვნებისა და სამართლიანობის შესახებ: მიმოხილვა და რეკომენდაციები (2019). ასევე იხილეთ რეკომენდაცია B.3 და პუნქტები 44-45 და 49 (OSCE/ODIHR-ის მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ, (17 აპრილი, 2019 წ.); და რეკომენდაცია 23 გვერდზე (ODIHR მეორე ანგარიში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საქართველოში). ევროპის საბჭოს ძირითადი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც ხელს უწყობენ ქალი მოსამართლეების არასაკმარის წარმომადგენლობას საქართველოს საერთო სასამართლოების მართვაში, საქართველოს უმაღლეს სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების 37,5 პროცენტი და უზენაესი სასამართლოს წევრების 40 პროცენტი არიან ქალები.

⁶⁵ იხილეთ 2012 წლის ENCI დუბლინის დეკლარაცია მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ, ინდიკატორი No. I.8; აგრეთვე ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 7/09 ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ, 2009 წლის 2 დეკემბერი, რომელიც კონკრეტულად მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს განიხილონ გენდერული ბალანსის მიზნის მიღწევის კონკრეტული ზომები ყველა

რეკომენდაცია G.

ცვლილების კანონპროექტმა უზრუნველყოს გენდერული და განსხვავებული შეხედულებების გათვალისწინება სასამართლოში დანიშვნის პროცესში.

6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება

56. მიმდინარე კანონპროექტით ამოღებულია საერთო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის არსებული 35⁴ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეების (ზოგადი) დანიშვნის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას და პირობებს. გაურკვეველია თუ რატომ იქნა ამოღებული აღნიშნული მუხლი, რადგან ის იძლევა სათანადო სამართლებრივი პროცესისა და სამართლებრივი აღდგენის გარანტიას და **საჭიროა აღნიშნული გადაწყვეტილების გადახედვა.**
57. ამავედროულად, შენარჩუნებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 34³ მუხლის მიხედვით. ამავე მუხლის მე-13 პუნქტი ასევე იძლევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული მეორე/ახალი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ პირველი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ. ცვლილების კანონპროექტი ითვალისწინებს ახალ 13¹ პუნქტს, რომლის მიხედვით, თუ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა დაადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გამოიჩინა მიკერძოება შერჩევის პროცესში, ან მათი მიდგომა იყო დისკრიმინაციული და/ან გადააჭარბა კანონიერად მინიჭებულ უფლებამოსილებებს, ასეთი წევრები აღარ მიიღებენ მონაწილეობას შერჩევის პროცესში, რაც დადებითი და მისასალმებელია (იხ. ქვეპუნქტი 4.3.3 ზემოთ).

7. სხვა კომენტარები

58. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35(7) მუხლის თანახმად, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა „*ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს*“; დისკრიმინაციის გარეშე „*განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა*“. ამავედროულად, ცვლილების კანონპროექტის 34¹ მუხლში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესში არ არის

საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებლო ორგანოში“; OSCE/ODIHR გადაუდებელი დასკვნა ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკონსტიტუციო კანონის შესახებ (2022 წლის 30 სექტემბერი), პუნქტი 50. აგრეთვე ODIHR და ვენეციის კომისია, *ერთობლივი დასკვნა მოსამართლეთა დისკრიმინირების პასუხისმგებლობის საკანონმდებლო ჩარჩოში ცვლილებების პროექტის შესახებ. ყირგიზეთის რესპუბლიკაში*, 2014 წლის 16 ივნისი, ქვეპუნქტი 5.1.

აღნიშნული პრინციპი გათვალისწინებული და საჭიროა მისი გათვალისწინება და დამატება. დისკრიმინაციის ამკრძალველი საფუძვლების ჩამონათვალი შეიძლება გაფართოვდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და არსებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ, დისკრიმინაციის ამკრძალველ დებულებას შეიძლება დაემატოს მითითება კანის ფერის, დაბადების ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან სოციალური სტატუსის, რწმენის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და შეზღუდული უნარის გამო დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.⁶⁶

რეკომენდაცია H.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შესახებ დებულებებში დისკრიმინაციის, ობიექტურობისა და თანასწორობის დამატებით პრინციპებზე მითითება.

8. ცვლილების კანონპროექტის შემუშავების პროცედურა

59. ODIHR მიუთითებს თავის 2019 წლის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კანონშემოქმედების პროცესთან დაკავშირებით და იმეორებს, რომ ის უნდა იყოს გამჭვირვალე, ინკლუზიური და მოიცავდეს ღია, შინაარსობრივ და ეფექტურ კონსულტაციებს, ზემოქმედების სრულ შეფასებას და პროცესის ყველა ეტაპისთვის საჭიროა ადეკვატური დროის განსაზღვრა.
60. კერძოდ, ის ფაქტი, რომ სასამართლო სისტემის საკანონმდებლო ჩარჩოში ცვლილებების რამდენიმე რაუნდი განხორციელდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აჩენს ეჭვს, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მოიცავს პრობლემის საფუძვლიან ანალიზს და რომელიც წარმოადგენს ყველა არსებული პოლიტიკის გადაწყვეტის ხარჯის და სარგებლის შედეგს. როგორც კონკრეტულად აღნიშნა ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭო (CCJE), თავიდან უნდა იქნას აცილებული ძალიან ბევრი ცვლილება მოკლე დროში, თუ ეს შესაძლებელია, განსაკუთრებით მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში.⁶⁷ ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც მოიცავს სათანადო პოლიტიკის განხილვას ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან და სიღრმისეული

⁶⁶ მაგალითად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლ მუხლში (2014) ჩამოთვლილია დისკრიმინაციის ამკრძალველი საფუძვლები: „რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილი, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები ან სხვა მახასიათებლები“. აგრეთვე OSCE/ODIHR, მოსაზრება საქართველოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონპროექტის შესახებ (2013 წლის 18 ოქტომბერი).

⁶⁷ იხილეთ [CCJE-ს მოსაზრება No. 18 \(2015\)](#), პუნქტი 45.

ზემოქმედების შეფასებას თავიდანვე უნდა დაეფუძნოს სასამართლო რეფორმის ნებისმიერ პროცესს.

61. ასევე ხაზგასასმელია, რომ ცვლილების კანონპროექტის ზოგიერთი დებულება არის გრძელი, ზედმეტად დეტალური და განმეორებადი. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალოს ასეთი დეტალური შინაარსი, ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა და არასწორი ინტერპრეტაცია, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის და განჭვრეტადობის პრინციპს. ვაცნობიერებთ რა რომ ეს საკითხი განხილვის თემას სცილდება, კანონმდებელმა შეიძლება ODIHR-ს სთხოვონ საქართველოს საკანონმდებლო პროცესის შეფასება, როგორც 2015⁶⁸ წელს დასრულებული დასკვნის შემდეგი ეტაპი, რათა წარმოდგენილი იყოს კონკრეტული რეკომენდაციები პროცესის და მიღებული კანონების ხარისხის გაზრდის მიზნით.
62. როგორც 2019 ODIHR-ის დასკვნაშია რეკომენდირებული, საჯარო ხელისუფლება წახალისებულია უზრუნველყონ ცვლილების კანონპროექტის გამჭვირვალობა და ინკლუზიური პროცესი და გამართონ ღია, შინაარსობრივი და ეფექტური კონსულტაციები, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოსამართლეებთან⁶⁹ და ადვოკატთა ასოციაციასთან, აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობენ ქალებსა და მამაკაცებს მონაწილეობის მისაღებად. ასეთი კონსულტაციები უნდა ჩატარდეს დროულად და კანონშემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის პარლამენტში. როგორც კარგი კანონშემოქმედების მნიშვნელოვანი ელემენტი, ასევე უნდა შეიქმნას კანონმდებლობის იმპლემენტაციის თანმიმდევრული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ეფექტურად შეაფასებს ცვლილების კანონპროექტის მოქმედებასა და ეფექტურობას მისი მიღების შემდეგ.⁷⁰ ODIHR რჩება ხელისუფლების განკარგულებაში ნებისმიერი შემდგომი დახმარებისთვის, რომელიც მათ შეიძლება მოითხოვონ ნებისმიერი სამართლებრივი რეფორმის ინიციატივაში, რომელიც ეხება სასამართლო სისტემას ან სხვა სფეროებს.

[ტექსტის დასასრული]

⁶⁸ იხილეთ ODIHR, [საქართველოს საკანონმდებლო პროცესის შეფასება](#) (2015). აგრეთვე CDL-PI(2021)003, [ვენეციის კომისიის დასკვნებისა და ანგარიშების შედგენა კანონშემოქმედების პროცედურებსა და კანონის ხარისხთან დაკავშირებით, დამტკიცებული ვენეციის კომისიის მიერ 126-ე პლენარულ სესიაზე \(ონლაინ, 2021 წლის 19-20 მარტი\)](#).

⁶⁹ რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების ჩართულობას სამართლებრივ რეფორმაში, რომელიც გავლენას ახდენს მის მუშაობაზე, საერთაშორისო რეკომენდაციებში ხაზგასმით აღნიშნულია „მოსამართლეების მონაწილეობის მნიშვნელობა ეროვნულ სასამართლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ დებატებში“ და საკანონმდებლო რეფორმა მათ სტატუსსა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. იხილეთ [CCJE-ს მოსაზრება No. 18 \(2015\)](#), პუნქტი 31 ; 1998 წლის [ევროპული ქარტია](#), პუნქტი 1.8. აგრეთვე 2010 CCJE Magna Carta of Judges, para. 9, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს ჩართული ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც გავლენას ახდენს სასამართლო ფუნქციების პრაქტიკაზე (სასამართლოების ორგანიზება, პროცედურები, სხვა კანონმდებლობა)“; და ENCJ, [2011 წლის ვილიუსის დეკლარაცია სასამართლო სისტემის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ არსებულ ეკონომიკურ კლიმატში](#), რეკომენდაცია 5, სადაც ნათქვამია, რომ „სასამართლო ორგანოები და მოსამართლეები უნდა ჩაერთონ აუცილებელ რეფორმებში“.

⁷⁰ იხილეთ OECD, [International Practices on Ex post Evaluation](#) (2010).